KA021728604565121

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-3380 20 / ივნისი / 2022 წ.

ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N3); ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის, N96-ში, (ნაკვეთი N4-1); ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N4-2) არსებული 72836 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5 (ნანგრევი), N6, N7, N8, N9 (ნანგრევი), N10 (ნანგრევი) და N11 (საკვამური მილი) შენობა-ნაგებობების და ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქ. N96-ში მდებარე 1299 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის № 570 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის და „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N3); ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის, N96-ში, (ნაკვეთი N4-1); ქალაქ ქუთაისში, ქუჩა ლ. ასათიანის, N96-ში (ნაკვეთი N4-2) არსებული 72836 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5 (ნანგრევი), N6, N7, N8, N9 (ნანგრევი), N10 (ნანგრევი) და N11 (საკვამური მილი) შენობა-ნაგებობების (ს/კ 03.04.32.761) და ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქ. N96-ში მდებარე 1299 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 (მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობის (ს/კ 03.04.33.065) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 10 055 000 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 1 005 500 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) თვის ვადაში;

4. ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, 03.04.32.761 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, 2023 წლის 1 მაისიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, 03.04.32.761 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის (რომელიც შესაძლოა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) კომერციული დანიშნულების ფართ(ებ)ს ან/და სასტუმროს) შექმნა (რაც შეიძლება მოიცავდეს უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს) და შესაბამისი შენობა-ნაგებობების კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება.

5. ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის (თავშესაფრის) ფუნქციონირებისათვის მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

6. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, 03.04.33.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დამატებით სახელშეკრულებო (არასაპრივატიზებო) პირობად განისაზღვროს:

ა) პირადად ან მესამე პირების მეშვეობით, ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობისათვის (თავშესაფრისათვის) ფუნქციის მუდმივად (სამოქალაქო უსაფრთხოების დამცავი ნაგებობის არსებობის ვადით) შენარჩუნება.

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის ნაგებობით სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

7. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

8. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

9. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე